სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს,

ქალბატონ თამარ მახარაშვილს,

ქალბატონო თამარ,

2020 წლის 13 მარტს ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფმა (შემდგომში თემატური ჯგუფი) გამართა ონლაინ დისკუსია იმის თაობაზე თუ რა სირთულეები შეექნმა თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კორონავირუსით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე და რა საჭიროებების წინაშე დავდექით. ასევე განვიხილეთ თუ რა სახის მხარდაჭერა გვესაჭიროება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა (შემდგომში სამინისტრო) და განათლების ხარისხის განვითარების ეროცნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) მხრიდან.

აღნიშნულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 40 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (უსდ) 23-მა. ქვემოთ გაერთიანებული სახით წარმოდგენილია უსდ-ების მიერ შემოთავაზებული წინადადებები:

1) საჭიროა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ელექტრონული სწავლების შეთავაზება დასაშვები უნდა იყოს საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი სტუდენტებისთვისთვისაც და ასევე, ეს დასაშვები უნდა იყოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.
2) ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლა მოითხოვს საგამნათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში ცვლილებები შეტანას. თუმცა დროის სიმცირიდან გამომდიანრე, შეუძლებელი იქნება თითოეული პროგრამისა და სილაბუსის გადამტკიცება და ცენტრში წარდგენა. ამიტომ სასურველია შესაძლებელი იყოს კონცეფციების წარდგენა.
3) სტუდენტების შეფასების სისტემაში ცვლილებების შეტანა იქნება აუცილებელი, რადგან ელექტრონული სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ გამოვიყენებთ იმავე შეფასების მეთოდებს, რაც პირისპირ სწავლებისთვის იქნა შემუშავებული. გარდა შეფასების მეთოდების ცვლილებისა, ასევე დავდგებით შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული ხვედრითი წილების შეცვლაზე. ასევე არის შემოთავაზება რომ „ჩააბარა“ – „ვერ ჩააბარა“ შეფასება გამოვიყენოთ.
4) მედიცინის და სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ძალიან რთულია ელექტრონული სწავლების განხორციელება. ასევე რთულია ელექტრონული სწავლების დოზისა და წილის განსაზღვრა აღნიშნულ პროგრამებში. რაც შეეხება საზღვაოსნო განათლებას, ამ შემთხვევაში პირიქით, აღნიშნული

პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, მიესალმებიან საგანმანათლებლო პროგრამებში ელექტრონული სწავლების გამოყენებას.

5) საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადების გადაწევა, რადგან შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე უსდ-ები ვერ შეძლებენ ექსპერტთა ჯგუფების მიღებას.
6) რიგ შემთვევებში სტუდენტებსა და ლექტორებს არ აქვთ საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფა და ინტერნეტზე წვდომა რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტში მიუსვლელად განახორციელონ ელექტრონული სწავლება. იქნებ სამინისტრომ უზრუნველყოს მათი აღნიშნული რესურსით უზრუნველყოფა.
7) საჭიროა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

პატივისცემით,